

ნაზიბროლა ჩინჩალაძე

# ანტარქტიკის საშარტლებრივი რეჟიმი



ნაზიბროდა ჩინჩადაძე

ანთარქტიკის საზარტდებრივი  
რეჟიმი

თბილისი

2024



## სარჩევი

ავტორისაგან და მის შესახებ .....	5
შესავალი .....	10
Absolutus .....	15
ანტარქტიკის საქმე (Antarctic Whaling case) .....	24
ეპილოგი .....	27
დანართი 1 <i>კრებსითი უწყისი</i> .....	28
დანართი 2 <i>Fimbul Ice Shelf</i> .....	29
დანართი 3 <i>Antarctic Peninsula</i> .....	29
დანართი 4 <i>ყინულქვეშა მდინარე</i> .....	30
დანართი 5 <i>1972 Convention on the Conservation of Antarctic Seals</i> .....	31
გამოყენებული მასალა .....	42



## ავტორისაგან და მის შესახებ

*„ვადარებილი ხე ისევე ამოდის, ისწისავან  
მიყენებული ქრილობა შესთხოვდება და  
მოზრება, შევამ სიტყვის ისაზი მოუზრხენელია,  
ზადვან იგი პირდაპირ ვულში ხვდება.“  
/იოანე დამასკელი/*

... ეს იყოს ჩემი განახლებული „CV“! გარემოს საერთაშორისო სამართლის საკითხებზე ვმუშაობ 1996 წლიდან, როდესაც თსუ-ს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლის მე-3 კურსზე დავიწყე შესწავლა დისციპლინისა საერთაშორისო ტერიტორიების სამართალი. ამ კურსის დასრულებისთანავე დავიწყე საბაზისო მუშაობა ჩემს სადიპლომო ნაშრომზე მდინარე ჭოროხის ათვისების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების კუთხით, დიპლომის წარმატებით დაცვისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვის შემდეგ სპეციალობით გარემოს საერთაშორისო სამართალი, რაც თავის მხრივ საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროა, განვავრდე მუშაობა და შევასრულე სადისერტაციო ნაშრომი თემაზე, - „მდინარე ჭოროხის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი“.

2002 წლის 28 მაისს<sup>2</sup>, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს წინაშე თემის წარმატებით დაცვის შემდეგ, მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რასაც დღეს სამართლის დოქტორი ეწოდება, რადგან „Orcid“-ზე ვიძებნები.

1999-2007, შემდეგ 2013-2015 წლებში დისციპლინას გარემოს საერთაშორისო სამართალი ვასწავლიდი, ამერიკის ჰავაის უნივერსიტეტის თბილისის ფილიალში, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი. სწავლების ენა იყო ინგლისური, რადგან ზემოხსენებულ სასწავლებელში დისციპლინები ინგლისურ ენაზე ისწავლებოდა. ერთგან წავიკითხე, რომ ეს დისციპლინა არ ისწავლება და არ ისწა-

1 გვიი.გ. კალანდაძე ავტორიზმების ენციკლოპედია ბრძნული აზრების საგანძური მეორე გამოცემა თბ. დიადემა 2013., გვ.3

2 ეს ჩემთვის უადრესად მნიშვნელოვანი თარიღია.

ვლებოდა. ამის დამწერს, რომელსაც არ მოვიხსენიებ, ცხადია არ ვეთანხმები, რადგან საპირისპიროს ვაკეთებდი არა ერთი წელი. 2017 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურზე, საჯარო მმართველობის სპეციალობით სპეციალური კურსი წავიკითხე უკვე ქართულ ენაზე. ეს იყო მხოლოდ ერთხელ. ამასთან დაკავშირებით ასევე მინდა შევნიშნო, რომ ამ დარგის არსებობას არ ცნობდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, იურიდულ მეცნიერებათა დოქტორი და, როგორც ვიცი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აწ განსვენებული ბ-ნი გივი ინჭკირველი. მას მიაჩნდა, რომ გარემოს საერთაშორისო სამართალი, რაც საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილია, არ არსებობს, არამედ არსებობს ეკოლოგიური სამართალი, რაც წმინდა წყლის ადმინისტრაციული სამართალია და სხვა არაფერი. ამიტომაც მან ამ დარგში ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის გამოცდა ჩაბარებულად არ ჩამითვალა და ჩასაბარებლად განმისაზღვრა დამატებითი დისციპლინა სამართლის თეორია.

ამრიგად განსაზღვრული 4 (ოთხი) საკანდიდატო მინიმუმის ნაცვლად ჩაბარებული მაქვს 5 (ხუთი) საკანდიდატო მინიმუმი, რასაც ადასტურებს წინამდებარე ნაშრომზე დართული კრებსითი უწყისი. სალექციო სააუდიტორიო საქმიანობას 1999 დან 2022 წლის ჩათვლით ვეწეოდი, აქედან უმეტესი გარემოს სამართლის კურსები იყო, სხვებთან ერთად. ამ პერიოდში 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული წიგნებისა და ნორმატიული მასალის თარგმანების თუ სახელმძღვანელოს ჩათვლით. განსხვავებული დისციპლინებიდან გამოვყოფდი ანტიდისკრიმინაციულ სამართალს და სამართლებრივ კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე, რასაც კონკრეტული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავდა.

საქ. მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში (მოგვიანებით თინათინ წერეთლის სამართლის ინსტიტუტში) ჯერ მეცნიერ თანამშრომლის, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე მუშაობისას 6 (ექვსი) წლის განმავლობაში ათამდე შრომა მაქვს შესრულებული, რაც არ გამოქვეყნებულა, რადგან ასეთი ნაშრომების გამოცემა არ ფინანსდებოდა.

ამჟამადაც, გამოცემა სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუ ავტორი ანუ მე, თავად არ დავაფინანსებ.

გარემოს საერთაშორისო სამართალს სტუდენტები ინტერესით სწავლობდნენ, მაგრამ პოლარული რეგიონების, კერძოდ კი ანტარქტიკის სამართლებრივი რეგლამენტით მხოლოდ ისინი ინტერესდებოდნენ, ვისაც სისტემატურად არ უყვარდა სწავლა. ეს მათ გარკვეულ ინტერესს აღძრავდა. საქ. შსს აკადემიის იურიდიული დისციპლინების კათედრაზე მუშაობისას ამ დისციპლინას, შეცვლილი სახელწოდებით „ეკოლოგიური სამართალი“ როცა ვასწავლიდი, მაგონდება რომ მოსწონდათ სახელწოდება „ანტარქტიკა“, უხაროდათ, რომ დაიხსომეს განსხვავება ფლორასა და ფაუნას შორის და კარგად ესმოდათ მათი არსი. ზოგიერთი ამახინჯებდა სახელწოდებას და წარმოთქვამდა „ანტრაქტიკას“, თუმცა ეს ამ მოვლენებიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ საბაუნის სტუდენტებშიც შემხვდა. ზემოხსენებულ აკადემიაში მუშაობისას, მახსოვს აგრეთვე, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, სამწუხაროდ სახელი არ მახსოვს შენიშნა, რომ მე ძალიან ლოიალურად ვაფასებდი მსმენელების ცოდნას და რომ საბჭოთა დროს მოღვაწე, ეკოლოგიური სამართლის სპეციალისტი, რაც ვიმეორებ ადმინისტრაციული სამართალია და არა საერთაშორისო საჯაროს ნაწილი, ძალიან მკაცრად იბარებდა გამოცდებს, ამით მათი რიგებიდან, ნაკლები იღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას. ბოდიშს ვიხდი, მე ასეთი მეთოდით არ მიმუშავია. თუმცა დღეის მდგომარეობით არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი?! სასარგებლოა თუ საზიანო?!

პირადად მე ჩვეულებითი საერთაშორისო სამდინარო სამართლის სფეროში მუშაობამ იმიტომ დამაინტერესა, რომ დავინახე იურისპრუდენცია არ არის მხოლოდ ადვოკატურა, სასამართლო, საჩივარი და საკუთრება... ტრადიციული გაგებით იურისპრუდენციას ფლობს ყველა ის ადამიანი, ვისაც გააზრებით აქვს წაკითხული თეოდორ დოსტოევსკის უკვდავი ნაწარმოები „დანაშაული და სასჯელი“, ხოლო დედამიწის ყველა სუბსტანციის გამოყენების, დაცვისა და შენარჩუნების მარეგულირებელი ნორმები არის ფართო გაგებით იურისპრუდენცია, რადგან ბუნების კანონზომიერებებს ასახავს. აქ ანტარქტიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მანდ ყალიბდება ჩვენი



ლურჯი პლანეტის, დედამიწის კლიმატი. მასთან დაკავშირებით 1959 წელს მიღებული ხელშეკრულება უპრეცედენტოა სახელშეკრულებო სამართლის ისტორიაში, რადგან უვადოა. ამის მიზეზად სწორედ ანტარქტიკის, როგორც კონტინენტისა და როგორც ბუნებრივი მოვლენის უნიკალურობა ითვლება.

მიმუშავია პრაქტიკაშიც კერძო სამართლის კუთხით საქონლისა და სერვისების ყიდვა-გაყიდვის სფეროში. დაცული ტერიტორიის სამართლებრივ საკითხებსაც ვიკვლევდი, სამეცნიერო და პრაქტიკულ მივლინებებშიც ვყოფილვარ, იყო ეს საქ. შსს აკადემიის იურიდიული დისციპლინების კათედრის დოცენტის პოზიცია თუ აკრედიტირებული კერძო უმაღლეს სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტთან აფილირებული, ასოცირებული პროფესორისა. როდესაც თეუსის (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი)<sup>3</sup> კათედრის გამგის მოვალეობას ვასრულებდი, სალექციო-სააუდიტორიო მუშაობა მიხდებოდა იძულებით, სამართლის თითქმის ყველა დარგში, რადგან პრაქტიკოსი იურისტები, ადვოკატები, ნოტარიუსები, მოსამართლეები ლექციაზე მოუცლელობის გამო ვერ მოდიოდნენ. ამის კეთებას სტუდენტების მიმართ ჩემი მაღალი პასუხისმგებლობა მავალეზდა.

ჩემი დიდი გამოცდილების შედეგად, სამეცნიერო საქმიანობა რა არის ან აკადემიური ნაშრომი როგორ იწერება?! კარგად ვიცი, ამდენად არავის მივცემ უფლებას ჩემი ნაშრომის შინაარსი გააქილიკოს. პირადად მე არავის ნაშრომზე არც ზეპირსიტყვიერად და არც წერილობით არ მითქვამს, – რატომ წერია სახელდობრ „ეს“, ან „ის“. შესაბამისად აკადემიური თავისუფლების წყალობით უფლებამოსილი ვარ ვწერო იმაზე და ისე, რაზეც და როგორაც მიზანშეწონილად მივიჩნევ.

დღეს უკვე არა მეცნიერ თანამშრომელი, არამედ „სეგრეტოს სტიუარდი“, ვაწვდი დაინტერესებულ მკითხველს ნაშრომს, რომელიც, გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას და წარმოაჩენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ მიღწევებს. სწორედაც რომ არ მესაჭიროება განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაითვალონ ჩემი შრომები, მათგან რომელიმე ჩათვალონ ნაშრომად ან არა. ვწერ და ვაქვეყნებ, რო-

3 ამჟამად არ არსებობს.

გორც ყოფილი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, რომელიც შტატების შემცირების გამო წლების წინ სამსახურიდან დაითხოვეს.<sup>4</sup>

2002 წელს მკითხეს, – ჭოროხზე რატომ დაწერე თემა, რიონმა რა დაგიშავა? ვუპასუხე მაშინ, – რიონი შიდა მდინარეა და მისი გამოყენება ეროვნულ დონეზე მოსაგვარებელი საკითხია და არა საერთაშორისო. თუმცა ისიც იყო, რომ იურიდულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ, პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის<sup>5</sup> პატივსაცემად საქართველოს უზენაეს სასამართლოს შენობაში გამართულ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ წყლის სამართლებრივ რეჟიმზე ნადარეიშვილის გარდა ნაშრომი მეც მაქვს.

დღეს თუ ვინმე იკითხავს, რა დროს ანტარქტიკაა, ხალხი მშიერია, სადღაც ომია, მე ვუპასუხებ – შიმშილისა და ომის მიზეზები გაარკვიონ.

„...და კიდევ, ვისაც ჩემი მოკითხვა სურს ზუსტი მონაცემებით მომძებნონ და მათთვის ხელსაყრელი ტრანსპორტით გამგზავრებას ნუ მთავაზობენ, მე ზუსტად ვიცი, რომელ ტრაექტორიაზე ვმოძრაობ და მიუხედავად დაბრკოლებებისა, ჩემ გარშემო არსებულ რეალობას კარგად აღვიქვამ“.

*ნაზიბროლა ჩინჩალაძე*

4 თუმცა რეალური მიზეზი სხვა იყო!

5 გარდაცვლილია.

## შესავალი

„...ტყუილი არის ერთად ერთი ადამიანური  
 პრივილეგია ყველა ორგანიზმზე. შოიტყუები,  
 სიმანოლომდე მიხვალ. შეიტომოჯ ვან ადამიანი,  
 რომ ვიტყუები. არუ ერთ სიმანოლომდე არ მისულან,  
 ისე, რომ არ ეყრუათ თოთხმეტჯერ ან შესაძლოა  
 ას თოთხმეტჯერ. ეს საპატიოა ერთფეანად“ ...  
 თ. ღოსტოფესკი „ღანაშული და სსსტელი“.

სამეცნიერო ნაშრომში სქოლიოს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის რაოდენობა უბრალო მათემატიკა არ არის, არამედ ის უჩვენებს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით რისი შენიშვნა სურს ავტორს და რამდენ ახალ მასალას გაეცნო, რომ მკითხველამდე, როგორც კეთილსინდისიერ ავტორს, მიეტანა. მკითხველი მრავალგვარი არსებობს, ამას კარგად გამდმოსცემს ბეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ფრაზა<sup>6</sup>. ზოგიერთ ნაშრომს მკითხველი საერთოდ არ ჰყავს, ან ჰყავს ძალიან ცოტა. ამის მიზეზები მრავალია, თუმცა ერთია, გონების სიმწირე იგივე ცოდნის დეფიციტი. ავტორისათვის ერთი დაინტერესებული მკითხველიც საკმარისია გონებით მწირიც კი, რომელსაც სურვილი აქვს, რომ წაიკითხოს. ამის შემდეგ მოიწონოს ან არა. ავტორს დაეთანხმოს თავის მტკიცებებში ან გახდეს მისი ოპონენტი. ყველა ბემოთჩამოთვლილ შემთხვევაში ავტორის მიზანი მიღწეული რჩება.

ანტარქტიკის შესახებ 1959 წლის ხელშეკრულების თარგმანი ინგლისურიდან ქართულად<sup>7</sup> 2021 წელს შევასრულე, მაგრამ გამოქვეყნება მხოლოდ 2022 წელს მოხდა. მე ვგეგმავდი სამართლებრივ რეჟიმზე ნაშრომის მომზადებას, ხოლო ეს პუბლიკაცია მოსამზადებელი ეტაპი იყო. „პლანეტა დედამიწის მეექვსე კონტინენტი<sup>8</sup>, რომელიც აღმოჩენილია 1820 წლის 27 იანვარს რუსეთის ექსპედიციის მიერ, ფაბიან გოტლიბ ფონ ბელინგჰაუზენისა და მიხეილ ლაზარევის, ხელმძღვანელობით, როგორც ყინულოვანი

6 გამგები გაიგებს.

7 იხ. სრულად ანტარქტიკის ხელშეკრულება ნ. ჩინჩალაძის თარგმანი თბ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი „ორბელიანი“ N5, 2022, გვ.52-61.

8 ზოგან კი მეხუთედ მოიხსენიებენ.

შელფი<sup>9</sup>, უფლისწულ მართას სანაპიროსთან, რაც მოგვიანებით ცნობილი გახდა უზარმაზარი ყინულის შელფის სახელწოდებით<sup>10</sup>.

ბელინგჰაუზენი და ლაზარევი გახდნენ პირველი ვინც იხილა და შეეხო ანტარქტიკის კონტინენტის „ხმელეთს“. სამი დღის შემდეგ 1820 წლის 30 იანვარს, ბრიტანული ექსპედიცია, რომლის კაპიტანი იყო ირლანდიელი ედვარდ ბრანსფილდი, ეწვია სამების ნახევარკუნძულს<sup>11</sup>, აქედან ათი თვის შემდეგ ამერიკელმა მებღვაურმა, ნათანაელ პალმერმა, დაათვალიერა ანტარქტიკა 1820 წლის 17 ნოემბერს. პირველი ჩამოქვეითება იქ შედგა, ერთი წლის შემდეგ, როდესაც ამერიკელმა კაპიტანმა, ჯონ დევისმა ფეხი დადგა ყინულზე.“<sup>12</sup>

შევხები ეტიმოლოგიასაც, რასაც ენათმეცნიერები ტოპონიმიკასაც უწოდებენ. „კონტინენტისათვის მინიჭებული სახელი, მომდინარეობს სიტყვისაგან „ანტარქტიკ“, რაც წარმოშობილია შუა საუკუნოვანი ფრანგული antartique ან antarctique<sup>13</sup> – საგან. Antarcticus მოდის ბერძნული avti(ანტი) და arktikoc (‘ჩრდილოეთის’). ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ მეტეოროლოგიაში დაწერა „ანტარქტიკის რეგიონის“ შესახებ ქრისტეშობამდე 350 წ. ბერძენმა გეოგრაფმა მარინუსმა ტირენიდან გამოიყენა ეს სახელწოდება თავის მსოფლიო რუკაში ჩვ.წ.ადრიცხვის მეორე საუკუნეში, რაც დღესდღეობით დაკარგულია. რომაელი ავტორები, გაიუს იულიუს ჰიგინუსი და აპულეიუსი სამხრეთ პოლუსთან მიმართებით იყენებდნენ რომანიზებულ ბერძნულ სახელწოდებას პოლუს ანტარქტიკუსი<sup>14</sup>, აქედან წამოვიდა ძველი ფრანგული, – pole antartike<sup>15</sup>. პირველად 1270 წელს შუა საუკუნეების ინგლისურში აპრობირებული pol Antarctic, რაც თავდაპირველად იძებნება ინგლისელი ავტორის ჯეფრი კაცერის თხზულებაში.“<sup>16</sup>

9 ბარბარიზშია ინგლისური სიტყვისაგან shelf რაც ნიშნავს თაროს, მაგრამ გამოიყენება, როგორც ტერმინი საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მაგალითად 1982 წლის გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS) და სხვ.

10 იხ. რუკა დანართ 2 – ში.

11 იხ. რუკა დანართ 3-ში.

12 ვრცლად იხ. <https://www.rmg.co.uk>stories>topics>history.antarct...>

13 არქტიკის საპირისპირო.

14 Polus antarcticus.

15 თანამედროვე ანტარქტიკის პოლუსი

16 “Antarctic”. Oxford English Dictionary (3rd ed.) Oxford University Press. December 2021. Redrived 17 January 2022.

შემდეგი აღწერილობაც უაღრესად საინტერესოა, - „ანტარქტიკა არის დედამიწის უკიდურესი სამხრეთი და ნაკლებად დასახლებული კონტინენტი, გარშემორტყმული სამხრეთის ოკეანით, რომელიც ასევე ცნობილია ანტარქტიკის ოკეანის სახელწოდებით, ის მოიცავს გეოგრაფიულ სამხრეთ პოლუსს. ის 40%-ით ფართეა ევროპაზე და მოიცავს სივრცეს 14,2000 კვადრატული კმ-ს (5,500 000 კვადრატული მ)-ის ფართობით. უმეტესად დაფარულია ანტარქტიკის ყინულის ფენით, რომლის მიახლოებითი სისქე 1,9კმ-ია. ანტარქტიკა არის ყველაზე მაღლა სიცივით, სიმშრალით, ქარიანობით სხვა კონტინენტებს შორის. ეს პოლარული უდაბნოა, წლიური ტენიანობით 200 მ სანაპირო ზოლის გასწვრივ და ბევრად ნაკლებით მის სიღრმეში. დაახლოებით 70% მსოფლიოს მტკნარი წყლის რეზერვებისა გაყინულია ანტარქტიკაში, რომელიც თუ გადნა, გლობალურად ასწევს ზღვის დონეს 60 - მდე მეტრით. ანტარქტიკას უჭირავს დედამიწაზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა, - -89,2 გრადუსი C. სანაპირო რეგიონებს შეუძლიათ მიაღწიონ 10 გრადუს C ტემპერატურას ზაფხულში. ცხოველთა მკვიდრი სახეობები აქ მოიცავს იშვიათ ხოჭოებს, ნემატოდებს,<sup>17</sup> ზღვის ძუძუმწოვრებს, ტარდიგრადას,<sup>18</sup> როცა ვეგეტაცია ხდება აქვს პლანქტონის ან პატარა ვასკულარული უყვავილო ფორმა.“<sup>19</sup>

მივედით იურიდიულ განმარტებამდე, რომელსაც ასეთი შინაარსი აქვს, - „ანტარქტიკა საერთაშორისო ტერიტორია,<sup>20</sup> რომელიც არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნის, არქტიკისაგან განსხვავებით იგი წარმოადგენს, რომლის გეოგრაფიული ცენტრი სამხრეთ პოლუსია, მოიცავს სამხრეთის პოლარულ მატერიკს, მიმდებარე კუნძულებს, შელფურ ყინულებს, აგრეთვე ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ნაწილებს. მისი სამართლებრივი რეჟიმი დადგენილია 1959 წლის 1 დეკემბერს, ქ. ვაშინგტონში ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც ძალაში შევიდა 1961 წლის 23 ივნისს. დღეისათვის ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობს

17 პარაზიტია.

18 ცხოველია.

19 The world fact book Central Intelligence Agency 3 May 2022.

20 ტერიტორიების სამართლის მიხედვით საერთაშორისო არის ისეთი ტერიტორია, რომელზეც არც ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება და მისი იურიდიული ბუნება განისაზღვრება ორი პრინციპით: მიუთვისებლობა და საერთო სარგებლობა.

აშშ, არგენტინა, ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი და კიდევ ოცზე მეტი სახელმწიფო. ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება 60 გრადუსი სამხრეთ განედის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომლის მიხედვით აკრძალულია ამ ტერიტორიის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის (სამხედრო ბაზების განლაგება, სამხედრო იარაღის გამოცდა, სამხედრო მანევრების ჩატარება და სხვ.). აკრძალულია აგრეთვე მისი ეკოლოგიური დაბინძურება. ხელშეკრულებით დაშვებულია ანტარქტიკაზე მშვიდობიანი მიზნებისათვის, მეცნიერული გამოკვლევების წარმოება და სახელმწიფოთა მეცნიერული თანამშრომლობა. ხელშეკრულების ეგიდით პერიოდულად ტარდება ამ ხელშეკრულების ეგიდით წარმოებული საკონსულტაციო თათბირები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ხელშეკრულების პრინციპებისა და მიზნების ეფექტიანი გატარებისათვის, მათ შორის ეკოლოგიური პრობლემატიკის, ტურიზმისა თუ სხვა სფეროებში. არქტიკისა და ანტარქტიკის სამართლებრივი რეჟიმი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. თუ არქტიკა სექტორების თეორიის განხორციელების გზით მისი მოსაზღვრე სანაპირო სახელმწიფოების ტერიტორიის ნაწილად გამოცხადდა ანტარქტიკა საერთაშორისო ტერიტორიაა. 1959 წლის ხელშეკრულების დადებამდე მრავალი სახელმწიფო აცხადებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს მასზე, ბოგიერთი მათგანი ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩილე, ანტარქტიკის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისათვის სექტორების თეორიის გამოყენებას მოითხოვდა, მაგრამ მის მიმართ სექტორების თეორიის გამოყენებამ საერთაშორისო სამართლებრივი დაფიქსირება ვერ პოვა.”<sup>21</sup> კონტინენტის სამართლებრივი რეჟიმი სრულყო 1972 წლის ანტარქტიკის სელაპის კონვენციამ.<sup>22</sup>

ეხლა კი იმ მოვლენების შესახებ, რამაც ბოლო დროს სიახლე შეადგინა ნაშრომის ინტერესის საგანთან დაკავშირებით, ესაა ანტარქტიკის ქვეშ ყინულქვეშა მდინარის წარმოშობა. ეს ფაქტი,

21 თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლექსიკონი-ცნობარი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2003., გვ.25-26.

22 იხ. ვრცლად <https://www.umwe/tbundesamt.de.>convention-for-the-conservation> of Antarctic Seals (CCAS).

გავრცელდა როგორც უახლესი ინფორმაცია 2022 წელს<sup>23</sup>. ამ მოვლენამ კვლავ გამოიწვია კლიმატური ცვლილებები მთელი პლანეტის მასშტაბით, რაც სხვადასხვა ფორმით მიმდინარე სტიქიურ უბედურებებში გამოიხატა, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე. უკვე 2024 წლის თებერვლის თვეში უნიკალური ყინულის ნიმუშები ასაკით მილიონი წელიწადი ამოღებული იქნა 3.5 კმ-ს სიღრმიდან სპეციალისტების მიერ რუსეთის ანტარტიკული ექსპედიციის მიერ, რომელიც განეკუთვნება არქტიკისა და ანტარქტიკის კვლევით ინსტიტუტს (AARI) – ს.<sup>24</sup> მიმდინარე წელსაც ამ უნიკალურმა კონტინენტმა კვლავ განაცხადა თავისი მაღალი დანიშნულების შესახებ. როდესაც ვინმე დღესაც დასვამს შეკითხვებს საერთაშორისო სამართლის ნორმების მდგრადობისა და ეფექტიანობის შესახებ ამ კონტინენტის სამართლებრივი რეჟიმი გაიხსენოს, ღია ზღვის საერთაშორისო რაიონის, თუ კოსმოსის რეჟიმთან ერთად.

23 იხ, ვრცლად <https://doi.org/10.1038/s41561-022-01059-1>

24 <https://www.rgo.ru>article>one> – million-year-old-samp...

## Absolutus<sup>25</sup>

„სიყოყმანო აზრის სამოთხე და ჩვენ ყველანი  
ვართ სამოთხეში, მაგრამ ამის შეცნობა არ  
ვინდა, ხოლო თუ შევივინებდი ამს ხვალვე,  
მთელს ქვეყანაზე იქნებოდა სამოთხე...“  
ფ.დოსტოვესკი „ძმები კარაჩხოვები“.

წინამდებარე თავის სახელწოდება ნიშნავს უპირობოს, ეს სრულად შეესაბამება ანტარქტიკის სამართლებრივ რეჟიმს და გადმოსცემს მას. გარემოს საერთაშორისო სამართალში თითოეული გარემოს სუბსტანციის, კოსმოსის, მთვარისა და ციური სხეულების ჩათვლით, გამოყენებას, დაცვასა და შენარჩუნებას მეტწილად საერთაშორისო ხელშეკრულებები არეგულირებს. ამ საკითხს დეტალურად ვიხილავ ჩემი სახელმძღვანელოს, რომელსაც დამხმარე უწოდეს, შესაბამის თავში.<sup>26</sup> ანტარქტიკის სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც საერთაშორისო ადგენს 1959 წლის ანტარქტიკის ხელშეკრულება, რომელიც შესავალშიც ვახსენე. ის თავისი შინაარსით უნიკალური საერთაშორისო დოკუმენტია, მისი მოქმედების ვადა მხარეებმა ვერ განსაზღვრეს და ამით დაიცვეს კონტინენტი. მისი მუხლი I ადგენს, – „1. ანტარქტიკის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. იქ აკრძალულია inter alia, ნებისმიერი სახის სამხედრო ქმედება, როგორცაა სამხედრო ბაზათა და ნაგებობათა განთავსება, სამხედრო მანევრების ჩატარება, ასევე ნებისმიერი სახის იარაღის გამოცდა. 2. წინამდებარე ხელშეკრულება ხელს არ უშლის სამხედრო პერსონალისა და დანადგარების სამეცნიერო კვლევის ან ნებისმიერი სხვა მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას.“ ამ მოთხოვნებით ხელშეკრულება ღია ზღვის საერთაშორისო რაიონისა და კოსმოსის რეჟიმსაც ემსგავსება.

მუხლი II ის დადგენილების შედეგი მსოფლიომ მიიღო რუსეთის კვლევითი სადგურის მიერ მოპოვებული 1 მილიონი წლის ყინულის ფრაგმენტების მოპოვებითაც 2024 წლის თებერვალში. იგი შემდეგში

25 ლ. ალექსიძე, ი. გაგუა, მ. დანელია, ე. კობახიძე, ნ. რუხაძე, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია თბ. მერიდიანი 2015., გვ.28

26 ნ. ჩინჩალაძე გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი თბ. სულხა-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022., გვ.43



მდგომარეობს, - „ანტარქტიკაში ჩატარებულ მეცნიერულ კვლევათა თავისუფლება და ამი მიზნით მიღწეული თანამშრომლობა, როგორც ეს მიმდინარეობდა საერთაშორისო გეოფიზიკური წელიწადის განმავლობაში, სამომავლოდ გაგრძელდება, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.“ აღნიშნულ მუხლში მიღწეული თანხმობის საფუძველზე უკვე მე-III მუხლით დადგენილია რომ:

„ა. გაიცვლება ანტარქტიკის სამეცნიერო პროგრამების გეგმებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა მიღწეულ იქნეს საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობა და ეკონომიურობა;

b. ანტარქტიკის ექსპედიციებსა და სადგურებს შორის გაიცვლება სამეცნიერო პერსონალი;

c. უზრუნველყოფილ იქნება ანტარქტიკაში ჩატარებულ სამეცნიერო დაკვირვებათა და მათი შედეგების ურთიერთგაცვლა და თავისუფლად ხელმისაწვდომობა“.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტით „წინამდებარე მუხლის იმპლემენტაციისათვის, ყოველმხრივ წახალისდება თანამშრომლობა და სამუშაო ურთიერთობათა დამყარება გაეროს იმ სპეციალიზებულ სააგენტოებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებსაც ანტარქტიკის მიმართ აქვთ სამეცნიერო ან ტექნიკური ინტერესი.“

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ისტორიაში უპრეცედენტოა ამ ხელშეკრულების მუხლი IV - ს მე-2 პუნქტი, რომელიც ასე იკითხება „სანამ წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია, ვერანაირი ქმედება ან საქმიანობა ვერ წარმოქმნის საფუძველს ანტარქტიკაში ტერიტორიულ სუვერენიტეტთან დაკავშირებული რაიმე პრეტენზიის გაცხადების, მხარდაჭერის ან უარყოფისათვის და ვერ შექმნის რაიმე სუვერენიტეტის უფლებას ანტარქტიკაში. არანაირი ახალი პრეტენზია, ან არსებული პრეტენზიის გაფართოება, რომელიც ანტარქტიკაში ტერიტორიულ სუვერენიტეტთან არის დაკავშირებული, ვერ გაცხადდება, სანამ ეს ხელშეკრულება ძალაშია.“ მოყვანილი ნორმის დასაბუთებლად მინდა შევნიშნო, რა იგულისხმება სიტყვებში „ტერიტორიული სუვერენიტეტი“ და „სუვერენიტეტის უფლება.“ ჯერ შევხები, რას ნიშნავს სუვერენიტეტი. ეს „ცნება საერთაშორისო სამართალში შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ჟან ბოდენმა (1576), რომელიც ასაბუთებდა მეფეების აბსოლუტურ ხელისუფლებას, მათ დამოუკიდებლო-

ბას ვინმესაგან, გარდა ღმერთისა. უფრო ადრე, თუმცა პოსტულატის სახით, ეს დოქტრინა საქართველოშიც იჩენს თავს (XI-XIII) საუკუნეებში და მეფის „ერთუფლების“, „ერთმთავრობის“, „თვითმპყრობელობის“ ტერმინების სახით გვევლინება. ევროპაში რევოლუციების დროს (XVII-XVIII სს.) ეს ტერმინი ხალხის უზენაესობის ამსახველ პოლიტიკურ და სამართლებრივ ლოზუნგად იქცა – მხოლოდ ხალხი ცხადდებოდა თავისი ბედის ერთადერთ ბატონ-პატრონად, ანუ სუვერენად (ჟან-ჟაკ რუსო). მოგვიანებით (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე) პოზიტივიზმის მიმდევრებმა სუვერენიტეტის ცნება, მხოლოდ ფორმალურ ნიშან-თვისებამდე დაიყვანეს – მასში ზოგადად გულსხმობდნენ ხელისუფლების უზენაესობასა და დამოუკიდებლობას. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახალხო სუვერენიტეტს. სახელმწიფო სუვერენიტეტი სახელმწიფო ხელისუფლების ნიშან-თვისებაა, რომელიც გამოხატავს ამ ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე.“<sup>27</sup> ლექსიკონში განმარტებული სახელმწიფო სუვერენიტეტი არის ის „ტერიტორიული სუვერენიტეტი,“ რომელსაც ასახავს ანტარქტიკის ხელშეკრულების ზემოთ მოყვანილი მუხლი. აქ იგულისხმება ამა თუ იმ სახელმწიფოს შესაძლებლობა ანტარქტიკის მთელი ტერიტორია ან მისი ესა თუ ის ნაწილი გამოაცხადოს თავისად, რაც ხელშეკრულების ნორმატიული რეგლამენტით შეუძლებელია. ტერმინი „სუვერენიტეტის უფლება“ კი არის ცნება, – „სუვერენულ უფლებები“, რომელიც სანაპირო სახელმწიფოებს აქვთ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ცოცხალ რესურსებზე.<sup>28</sup> ეს იგივეა, რაც 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის 21 და 1992 წლის რიოს დეკლარაციის 2 პრინციპები.<sup>29</sup> აქვე სრულად მოვიყვანო რიოს დეკლარაციის პრინციპ 2-ს, – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება აითვისონ საკუთარი რესურსები თავიანთი პოლიტიკის შესაბამისად გარემოსა და

27 თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლექსიკონი-ცნობარი თბ. 2003, თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 352-53.

28 იხ ვრცლად 1982 United Nations Convention on the Law of the Sea, section exclusive economic zone.

29 იხ. განმარტებები ნ. ჩინჩალაძე გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი თბ. სულხან-საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022 ., გვ. 63-64.

განვითარების სფეროში და ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ მათი იურისდიქციის ან კონტროლის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად ზაინი არ მიადგეს სხვა სახელმწიფოს გარემოს ან იმ რაიონებს, რომლებიც ეროვნული იურისდიქციის მიღმაა.“<sup>30</sup> რიოს ეს მუხლი დამეხმარება გავმიჯნო სუვერენიტეტი და იურისდიქცია, ასევე სუვერენული უფლებები, რაც ანტარქტიკაში მოქმედებს კვლევით სადგურზე ისევე, როგორც იქ მომუშავე პერსონალზე. კვლევითი სადგურის რეგისტრაციის სახელმწიფოს(აღმის) სახელმწიფოს იურისდიქცია და პირადი იურისდიქცია ფიზიკურ პირთა მოქალაქეობის სახელმწიფოს იურისდიქცია. ეს დამახასიათებელია საერთაშორისო ტერიტორიებისათვის. „იურისდიქცია საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოს უფლებამოსილებაა, უზრუნველყონ მათი კომპეტენციის ფარგლებში მდებარე სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო სივრცეებში მოქმედი შიდა-სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულება. ვიწრო გაგებით მასში იგულისხმება სახელმწიფოს სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოების უფლება განიხილონ სამართლის დამრღვევი პირის საქმე და აიძულონ იგი, აგოს პასუხი სამართლით დადგენილი წესით.“<sup>31</sup>

„სახელმწიფოთა სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უძველესი პრინციპია, რაც ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, უზენაესობის ამსახველი პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობაა. 1933 წლის მონტევიდეოს კონვენცია „სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის, ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შორისაა: 1. მუდმივი მოსახლეობა, 2. განსაზღვრული ტერიტორია, 3. ხელისუფლება და 4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი, ანუ სახელმწიფოს ძირითადი ნიშანი - სუვერენიტეტი.“<sup>32</sup>

30 კლიმატის ცვლილება ჩარჩო კონვენცია და რიოს დეკლარაცია ნ. ჩინჩალაძის თარგმანი თბ. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022., გვ.52.

31 იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლექსიკონი-ცნობარი თბ. თსუ-ს გამომცემლობა 2003 გვ.160.

32 მ. ბითაძე საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი თბ. თსუ გამომცემლობა 2021, გვ.74.

ამრიგად ანტარქტიკის ხელშეკრულებამ განუსაზღვრელი ვადით აკრძალა კონტინენტზე სუვერენული პრეტენზიები, რადგან მხარეებმა ამის აუცილებლობა გააცნობიერეს.

ხელშეკრულების VI მუხლი ადგენს, – „წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები გამოიყენება იმ არეალის მიმართ, რომელიც მდებარეობს სამხრეთის განედის 60 პარალელის სამხრეთით, ყველა შელფური ყინულის ჩათვლით, მაგრამ ამ ხელშეკრულებაში არაფერი ზღუდავს და არანაირად არ ეხება ნებისმიერი სახელმწიფოს უფლებებს, ან ამ უფლებათა განხორციელებას, რომლებიც უკავშირდება ღია ზღვას<sup>33</sup> და აღიარებულია საერთაშორისო სამართლით ამ არეალში.“ ხელშეკრულების VII მუხლით დადგენილია ინსპექტირების რეჟიმი, რომელიც წარმოებს ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად და მის დებულებათა შესრულებაზე მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მუხლის 1 პუნქტში გაწერილია, რომ მხარეთა „წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ ხელშეკრულების IX მუხლში აღნიშნულ შეხვედრებში, უფლება აქვთ დანიშნონ დამკვირვებლები ნებისმიერი სახის ინსპექციის განსახორციელებლად, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლით. დამკვირვებლები უნდა იყვნენ იმ ხელმომწერი მხარეების მოქალაქეები, რომლებიც მათ დანიშნავენ. დამკვირვებლის სახელი და გვარი შეტყობინების სახით ეგზავნება თითოეულ ხელმომწერ მხარეს, რომელსაც აქვს დამკვირვებელთა დანიშვნის უფლება, და ასეთი შეტყობინება კეთდება ასევე დამკვირვებლის დანიშვნის ვადის დასრულების შესახებაც.“ ამავე მუხლის მომდევნო პუნქტით კი თითოეულ დამკვირვებელს, დანიშნულს ასეთი წესით სრული უფლებამოსილება აქვს, თავისუფლად ჩავიდეს ნებისმიერ დროს ანტარქტიკის ნებისმიერ რაიონში ან ყველა რაიონში. ანტარქტიკის ყველა რაიონი, იქ მდებარე ყველა სადგურის, მოწყობილობებისა და დანადგარების ჩათვლით, ასევე ყველა საზღვაო და საჰაერო ხომალდი ანტარქტიკაში მათი დატვირთვა-გადმოტვირთვის, ან პერსონალის ჩასხდომა-გადმოსვლის პუნქტებში, ყოველთვის ღიაა ინსპექციისათვის და ნებისმიერი იმ დამკვირვებლის მიმართ, რომელიც დანიშნუ-

33 ღია ზღვა ასევე საერთაშორისო ტერიტორიაა, რომელშიც დადგენილია ღია ზღვის თავისუფლებები 1982 წლის კონვენციის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოსათვის.

ლია VII მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად. ნებისმიერ ხელმომწერ მხარეს, რომელსაც აქვს დამკვირვებლის დანიშვნის უფლება, შეუძლია განახორციელოს საჭირო დაკვირვებები ნებისმიერ დროს ანტარქტიკის ნებისმიერ რაიონზე ან მის მთელ ტერიტორიაზე. ამავე მუხლის 5 პუნქტი ადგენს, - „თითოეული ხელმომწერი მხარე, წინამდებარე ხელშეკრულების მისთვის ძალაში შესვლის შესახებ დროულად ატყობინებს სხვა ხელმომწერ მხარეებს და ამის შესახებ დროულად ატყობინებს სხვა ხელმომწერ მხარეებს და ამის შემდეგ წინასწარ აცნობებს მათ:

- a) ყველა იმ ექსპედიციის შესახებ, რომელსაც მისი ხომალდები ან მოქალაქეები ჩაატარებენ ანტარქტიკაში ან მის ფარგლებში, და ასევე ყველა იმ ექსპედიციის შესახებ ანტარქტიკაში, რომელიც ორგანიზებული იქნება მის ტერიტორიაზე ან გაემგზავრება მისი ტერიტორიიდან.
- b) ანტარქტიკაში არსებული ყველა იმ სადგურის შესახებ, რომელიც მის მოქალაქეებს უკავიათ; და
- c) ნებისმიერი სამხედრო პერსონალის ან მისი მოწყობილობის ან მოწყობილობის შესახებ, რომელიც გამიზნულია ანტარქტიკაში გასაგზავნად წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პირობების შესაბამისად.“

უკანასკნელ პუნქტთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ კონტინენტის სული დემილიტარიზაცია და ნეიტრალიზაცია არ გამორიცხავს სამხედრო მოწყობილობის ან პერსონალის იქ არსებობას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისა და კვლევითი საქმიანობებისათვის, თუმცა აქ კვლევასთან დაკავშირებული საქმიანობაც შესაძლოა იგულისხმებოდეს.

ბემოთ, ლექსიკონი ცნობარიდან მოყვანილ იურიდილ დახასიათებაში, აღნიშნულია, რომ ეს საერთაშორისო ტერიტორიაა და სუვერენიტეტის გავრცელებას გამორიცხავს, მაგრამ ვრცელდება იურისდიქცია. ამას ადგენს და არეგულირებს ხელშეკრულების მუხლი VIII. აღნიშნული მუხლი შემდეგში მდგომარეობს, - „1. იმისათვის, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ხელი შეუწყონ თავიანთ ფუნქციათა შესრულებას და ზიანი არ მიადგეს თითოეული ხელმომწერი მხარის შესაბამის პოზიციას

ანტარქტიკაში ყველა სხვა პირის იურისდიქციასთან დაკავშირებით, დამკვირვებლები, რომლებიც ინიშნებიან ამ ხელშეკრულების VII მუხლის 1 პუნქტის დებულებათა თანახმად და სამეცნიერო პერსონალის, რომლის გაცვლაც ხდება მე-3 მუხლის 1(b) ქვეპუნქტის მიხედვით, ასევე პერსონალი, რომელიც ახლავს ნებისმიერ ასეთ პირს, ექვემდებარებიან მხოლოდ იმ ხელმძღვანელ მხარის იურისდიქციას, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, ყოველი აქტის ან დარღვევის შემთხვევაში, რომელიც ხდება მათი ანტარქტიკაში ყოფნის დროს თავიანთი ფუნქციების შესრულებისას.“ იურისდიქციასთან დაკავშირებული დავების წარმოშობისას მხარეები დაუყოვნებლივ მართავენ კონსულტაციებს. ეს ნორმაც VIII მუხლშივე თავსდება. სანამ მომდევნო მუხლზე გადავიდოდე, შევნიშნავ უცხოელი ავტორების მართებულ დაკვირვებას, რომ „ანტარქტიკის ხელშეკრულება არ ქმნის მუდმივ სამდივნოს, თუმცა 2001 წლის 24 ივლისს ანტარქტიკის ხელშეკრულების კონსულტაციური თათბირი შეთანხმდა შეექმნა ასეთი ორგანო ბუენოს აირესში.<sup>34</sup> სამდივნო შეექმნა 2001 წლის სექტემბერში და დაკავებულია inter alia იმ დოკუმენტების მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, რომელსაც მიიღებს კონსულტაციური თათბირი.“<sup>35</sup>

ანტარქტიკის ხელშეკრულების IX მუხლის 1 პუნქტი ადგენს, რომ „წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში ჩამოთვლილი ხელმომწერი მხარეების წარმომადგენლები, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში შეიკრიბებიან ქალაქ კანბერაში, ამის შემდგომ კი გარკვეული პერიოდულობით შესაფერის ადგილას რათა გაცვალონ ინფორმაცია და გამართონ ერთობლივი კონსულტაციები ანტარქტიკის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ საერთო ინტერესებშია, ასევე შეიმუშაონ, განიხილონ და თავიანთ მთავრობათათვის რეკომენდაციების სახით წარადგინონ იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპებისა და მიზნების განხორციელებას, მათ შორის:

34 P. Sands, J. Peal, A Fabra, R.Mackenzie Principles of International Environmental Law Cambridge University Press 2012., p.579

35 Decision 1(2001) ATCM – XXIV – CEP. IV, Establishment of Secretariat in Buenos Aires იხ. ვრცლად <https://www.ats.aq/devAS/Meetings> Measures.

- (a) ანთარქტიკის გამოყენებას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის;
- (b) მეცნიერული კვლევის გაფართოებას ანთარქტიკაში;
- (c) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას ანთარქტიკაში;
- (d) ამ ხელშეკრულების VII მუხლით გათვალისწინებული ინსპექციის უფლების გამოყენებას;
- (e) ანთარქტიკაში იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას;
- (f) ანთარქტიკის ცოცხალი რესურსების დაცვასა და შენარჩუნებას.“ მომდევნო პუნქტში მხარეთა მიერ ზემოხსენებულ საკითხზე წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილებაა დადგენილი.

ხელშეკრულების X მუხლი წყაროდ აღიარებს გაეროს წესდებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი საქმიანობები, რომლებიც ხელშეკრულებასთან თანხვედრაში ვერ მოდის.

მხარეთა შორის წამოჭრილი უთანხმოება ან დავები გვარდება საერთაშორისო სამართალში ცნობილი ისეთი მშვიდობიანი საშუალებებით, როგორცაა დიპლომატიური და სამართლებრივი ხერხები. XI მუხლის მე-2 პუნქტი ამ მიმართებით აზუსტებს, რომ „ნებისმიერი ასეთი მოუგვარებელი სადავო საქმე, თითოეულ შემთხვევაში ყველა მოდავე მხარის თანხმობით, მოსაგვარებლად გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს; თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო სასამართლოსათვის საქმის გადაცემის თაობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, ეს არ ათავისუფლებს დავის მონაწილე მხარეებს იმ ვალდებულებისაგან, რომ განაგრძონ მოლაპარაკება დავის მოსაგვარებლად ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი მშვიდობიანი საშუალებით.“

მომდევნო XII მუხლი ადგენს ყველა საჭირო ცვლილებისა ან შესწორების შესაძლებლობას, მხოლოდ მისი ხელმომწერი მხარეების ერთსულოვანი თანხმობის საფუძველზე. ასეთი ცვლილებები ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპოზიტარი მთავრობა მიიღებს შეტყობინებას ყველა ხელმომწერი მხარისაგან რატიფი-

კაციის შესახებ. ხელშეკრულება ღია რჩება მიერთებისათვის, გაეროს წევრი ნებისმიერი სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს მხრიდან, რაზეც ასევე ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო.

